# ბორჯომი

30 ნოემბერი ხუთშაბათი 2023 წელი №50 (9312)

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ფასი 40 თეთრი


## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**2023 წლის 24 ნოემბერს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.**

**დეპუტატებმა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება და საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საფუძველზე საკრებულოს ზოგიერთ სამართლებრივ აქტებში შეიტანეს ცვლილებები.**

**მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც წარადგინა მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ქალბატონმა მედეა პაიჭაძემ.**

**დეპუტატებმა დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 20242027 წლების საშუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტი.**

**ასევე დეპუტატებმა დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის, ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესები და ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის №9 დადგენილებაში.**

**დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება.**

**მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“-ს უფროსის ქალბატონ მანანა რატიანის ანგარიში, ხოლო ა(ა)იპ „ბორჯომის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრის უფროსის ვაჟა გელაშვილის ანგარიში გადაიდოს მისი ავადმყოფობის გამო.**

## ურთიერთთანამშრომლობით ბევრს მივაღწევთ!

**22 ნოემბერს, ბაკურიანის კინოთეატრ დიდველში ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ეკატერინე ორჯონიკიძე ბაკურიანის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრის მიზანი მიმდინარე თუ სამომავლო გეგმების და მოახლოებული ზამთრის საკურორტო სეზონისთვის მზადების განხილვა გახლდათ. ქალბატონმა ეკატერინემ ყველა მიმდინარე პროექტზე დაწვრილებით ისაუბრა და მოსახლეობის კითხვებსაც უპასუხა.**



– გარდა იმისა რომ ინტენსიურად ვემზადებით ზამთრის საკურორტო სეზონისათვის, ამის გარდა ძალიან ბევრი პროექტი ხორციელდება ბაკურიანში. ბევრი პროექტი დასრულდა, სასიკეთო სიახლეებიც ბევრი გვაქვს, მართალია ისევ ბევრი გვაქვს პრობლემაც, თუმცა ინტენსიურად ვმუშაობთ, ვთანამშრომლობთ და წინ მივიწევთ.

პრემიერის ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს მასშტაბურ პროექტს. აქტიურად მიმდინარეობს ქუჩების და შენობების რეაბილიტაცია, გარე განათებების დამონტაჟება. სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობს და გაზაფხულიდან განახლდება. გაიხსნა ცენტრალური პარკი, სადაც ადგილობრივებსა და ბაკურიანის სტუმრებს დახვდა სასეირნო ბილიკი, მოსასვენებელი სკამები, სავაჭრო ჯიხურები, ბავშვების გასართობი სივრცე, საპიკნიკე არეალი, კაფე, სტადიონი და ტრენაჟორები. ეს იდეალური და საჭირო ადგილია კურორტისთვის.

სააგენტოსა და ბორჯომის მერიის გადაწყვეტილებით ოქტომბრიდან ამოძრავდა ავტობუსი ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვრის მიმართულებით.

ასევე მოეწყო ცხრა აპრილის ქუჩაზე შესასვლელი მდინარისპირა სკვერი, მწვანე ნარგავებით და მოსასვენებელი სკამებით. მთლიანად შეიცვალა ასევე ცხრა აპრილის ქუჩაზე მდებარე კორპუსის ფასადი. ზოგადად დიდი თანხებია გამოყოფილი ბაკურიანში სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად, და ის, რაც ახლა კეთდება, მხოლოდ დასაწყისია.

ორი წლის წინ, როდესაც ბაკურიანის განვითარების სააგენტო შეიქმნა, დაგვხვდა ძალიან ბევრი მწვავე პრობლემა. არ იყო არც სკოლა, არც საბავშვო ბაღი, არც სპორტსკოლა, არც კულტურის სახლი. იყო წყლისა და გზების პრობლემები. ამ ყველაფრის მოწესრიგებას დრო სჭირდება.

კარს მოგვადგა ზამთრის საკურორტო სეზონი და რასაკვირველია მაღალ დონეზე მომზადებულები უნდა დავხვდეთ – იქნება ეს კურორტის სადღესასწაულო მორთულობა, საშობაო ბაზრობა, გზების გაწმენდა თუ საცობების აღმოფხვრა და სხვ.

რაც შეეხება სკოლის მშენებლობას, მის ტერიტორიას ამ ზამთარს გამოვიყენებთ მოსახლეობასთან შეთანხმებით – აქ ან პარკინგი იქნება, ან საშობაო ბაზრობა, ან ნაძვის ხე, რასაც გადავწყვიტავთ ყველანი ერთად. სკოლის მშენებლობას კომპანია „ისიდა“ ახორციელებს, იწყება მისი პროექტირება და სააგენტოს თითქმის ყოველდღიური კომუნიკაცია ექნება ამ კომპანიასთან, რადგან ყოველი დეტალი შევათანხმოთ, რომ სკოლის შენობა შეესაბამებოდეს ბაკურიანის საკურორტო გარემოს. სამუშაოები თოვლის გადნობასთან ერთად დაიწყება.

უკვე დაწყებულია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, მართალია მოსახლეობისათვის ძალიან მტკივნეული იყო ყინულის მოედნის დემონტაჟი (რომლის ხარჯზეც გაფართოვდება საბავშვო ბაღი), თუმცა გადაწყვეტილება მოსახლეობასთან შეთანხმებით მივიღეთ. ბაღის პროექტსაც სააგენტო აკორექტირებს, რომ ისიც ბაკურიანის იერსახეს შეესაბამებოდეს. პროექტი ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

საახალწლოდ რასაკვირველია ბაკურიანს ექნება ნაძვის ხე, საშობაო კონცერტი, ახალი სადღესასწაულო განათებები, რომელიც მთავრობამ გადმოგვცა საჩუქრად, საახალწლო ბაზრობა. ვფიქრობ, სტუმრებს ღირსეულად დავხვდებით.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს. იწყება ანდეზიტ-ციხისჯვრის გეგმის დაპროექტება. აუცილებელია ასევე ბაკურიანის გენგეგმის კორექტირება. ჩვენი მიზანია ანდეზიტისა და ციხისჯვრის განვითარების გეგმაში არ დაიშვას შეცდომები, რაც იყო თავის დროზე ბაკურიანში. ბაკურიანი იყო მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა განვითარდეს კურორტი. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად გამოვასწოროთ ეს პრობლემები.

ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ღობეების გამოცვლა განხორციელდეს ყველა ქუჩასა და ჩიხებში, და ამ გეგმაზეც ვმუშაობთ. ახლო მომავალში ავტოსადგური გადაინაცვლებს რიტუალების სახლის მიმდებარედ, რომ განიტვირთოს ცენტრი. ამ პროექტის განხორციელება გაზაფხულზე იგეგმება, თუმცა ჩვენი დიდი ძალისხმევით სეზონამდე მოხდება მისი ახალ ადგილზე გადატანა.

იგეგმება სასტუმრო კომპლექს „მგზავრებიდან“ კოხტა გორას ძირამდე მიმავალი გზის სრული რეაბილიტაცია სანიაღვრეებისა და განათებების ჩათვლით. მთლიანი ბაკურიანის საჰაერო კომუნიკაციების მიწისქვეშ განლაგება მოხდება, ასევე გაზაფხულიდან დაიწყება გრანდიოზული პროექტის განხორციელება-წყალარინების და საკანალიზაციო გაყვანილობის მთლიანად განახლება. ბაკურიანის ბოლოს, ანდეზიტის გზის მიმდებარედ იგეგმება ფეხბურთის დიდი და პატარა სტადიონის და ასევე რაგბის სტადიონის მოწყობა. ამ არეალში იქნება აეროდრომიც.

დიდი ხანია არის დიდი სურვილი იმისა, რომ ბაკურიანში შეიქმნას მუზეუმი, სადაც იქნება წარმოდგენილი ბაკურიანელ სხვადასხვა თაობის სპორტსმენების დამსახურების აღმნიშვნელი ჯილდოების (თასები, სიგელები და სხვა) გამოფენა.

დღეს ბაკურიანში ისევ ერთერთი მთავარი პრიორიტეტია სპორტსკოლის აღორძინება და კულტურის სახლის აშენება.

ბაკურიანში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, ერთობლივი ძალისხმევით ნამუშევარი და გაკეთებულიც უკვე სახეზეა!

## განმარტებითი ბარათი

### საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

**ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:**

**დადგენილების მიღების მიზეზი:**

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

**პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

**არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:**

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

**დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:**

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

**დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:**

**ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,4 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 1551 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

**ბიუჯეტის პარამეტრები**

**საგადასახადო შემოსავლები**

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 34 170.4 ათასი ლარით. მათ შორის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 17 412.4 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 3 855.0 ათასი ლარით (29.0 პროცენტით).

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

▮ დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 412.4 ათასი ლარით.

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით დღგ გაზრდილია 26.0 პროცენტით (1 305.2 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 11 000.0 ათას ლარს;

2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 30 პროცენტით (2 550.0 ათასი ლარით) გაიზარდა.

**2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:**

- გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 270.4 ათასი ლარით, მათ შორის:
- სხვა დონის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (დელეგირებული უფლებამოსილებისათვის) 270.4 ათასი ლარი.
- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 12 700.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
- პროცენტები 700.6 ათასი ლარი
- რენტა 12 000.0 ათასი ლარი.
- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 1 637.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
- სანებართვო მოსაკრებელი 157.0 ათასი ლარი.
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1 000.0 ათასი ლარი.
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 450.0 ათასი ლარი.
- შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 30.0 ათასი ლარი;
- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1 500,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 150,0 ათასი ლარი;
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 250,0 ათასი ლარი;
- საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 1 100.0 ათასი ლარი.
- **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 150.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
- მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 150.0 ათასი ლარი;
- **არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 500.0 ათას ლარს:**

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები:**

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 34 170.4 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 5 919.6 ათასი ლარით.
- **პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:**
- **პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება – 10 481.2 ათასი ლარი:**
- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება – 2 290.0 ათასი ლარი; მათ შორის
- **განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:**
- 2024 წელს რეგ.ფონდიდან დასაფინანსებელი საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების თანადაფინანსება 202.0 ათასი ლარი.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.ტბაზე შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (11.0 ათასი ლარი).
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ცემში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (110.0 ათასი ლარი).
- ბორჯომის მუნიუციპალიტეტის დაბა

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

# განმარტებითი ბარათი

ბაკურიანში წაქაძის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია (70.0 ათასი ლარი).

● ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.ყვიბისში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (26.0 ათასი ლარი).

● ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. პატარა მიტარბში მისასვლელი გზის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები (15.0 ათასი ლარი).

● ბორჯომის მუნიციპალიტეტში სოფ. ანდეზიტში ციხების რეაბილიტაცია (61.0 ათასი ლარი).

● ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცენტრალურ ქუჩებზე და დაბა ახალდაბაში ცენტრალური გზის გამყოლილობეების რეაბილიტაცია (425.0 ათასი ლარი).

● მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამონტაჟებული გარე-ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შეძენა მოვლა-პატრონობა (670.0 ათასი ლარი).

● საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა (700.0 ათასი ლარი).

● **წყლის სისტემების განვითარება - 424.0 ათასი ლარი;**

აღნიშნული პროგრამით განხორციელდება დაბა ახალდაბაში სასმელი წყლის ქსელის გაფართოება და სადგურის უბანში წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია

■ **გარე განათება 1 208.5 ათასი ლარი.**

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია.

● გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯი (800.0 ათასი ლარი).

● (ააიპ) ბორჯომის გარე განათება (408.5.0 ათასი ლარი).

● **მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია** (1 136.0 ათასი ლარი). ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

● ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.ბალანთაში სარიტუალო სახლი რეაბილიტაცია 150.0 ათასი ლარი.

● ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი შენობების სახურავების გადახურვა, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა. 376.0 ათასი ლარი.

● ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დაბა წაღვერში, სოფ. მზეთამზეში ნაპირსამაგრი და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია (610.0 ათასი ლარი).

■ **კეთილმოწყობის ღონისძიებები 1 452.3 ათასი ლარი.**

● ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა (100.0 ათასი ლარი).

● 2024 წელს განხორციელდება ბორჯომში მესხეთის ქ.№39-ში და დაბა ახალდაბაში სკვერების მოწყობა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული სკვერების აღდგენა, დეკორატიული სკამების და ურნების შეძენა და გამწვანება 850.0 ათასი ლარი.

● **ა(ა)იპ ბორჯომის გამწვანება 2012** (363.7 ათასი ლარი).

● **ა(ა)იპ სასაფლაოების მოვლა პატრონობა** (138.7 ათასი ლარი).

● **მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება** (2 588.3 ათასი ლარი).

■ **მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება** (1 970.0 ათასი ლარი).

● **სატრანსპორტო საშუალებების შეძენა** (618.3 ათასი ლარი).

● **საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა** (700.0 ათასი ლარი).

● **დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია** (400,0 ათასი ლარი).

● **პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება** (300 ათასი ლარი).

● **დასუფთავება და გარემოს დაცვა** (2 483.2 ათასი ლარი).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა. აღნიშნულ ღინისძიებას ახორციელებს ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება.

● **განათლება** (3 942.6 ათასი ლარი).

● **სკოლამდელი განათლების ფუნქციონირება** (3 734.6 ათასი ლარი).

● **საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება და რეაბილიტაცია** (108.0 ათასი ლარი) (ბაკურიანის საჯარო სკოლის ქირა).

● **საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება** (100.0 ათასი ლარი).

● **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** (6 195.0 ათასი ლარი).

**სპორტის განვითარების ხელშეწყობა** (2 438.2 ათასი ლარი):

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება როგორიცაა; უბნებისა და დაწესებულებების ჩემპიონატები ფეხბურთსა, ფრენბურთსა და კალათბურთში. ასევე მოყვარულთა ფეხბურთი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაცია ახორციელებს. ქვეპროგრამა ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ. სპორტული ფესტივალი სპორტი ბარიერების გარეშე და სხვა. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინსდება სარაგბო კლუბი „ტაო".

● **ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა** (1 162.7 ათასი ლარი).

● **ა(ა)იპ ბორჯომის ფეხბურთი 2013** (473.3 ათასი ლარი).

● **რაგბის კლუბი „ტაო"** (125.0 ათასი ლარი).

● **სპორტული ღონისძიებები** (27.2 ათასი ლარი).

● ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების სასპორტო შენობების მოწყობა რეაბილიტაცია 650.0 ათასი ლარი.

აღნიშნული ქვეპროგრამით განხოეციელდება ქ. ბორჯომში ტურბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (პლატო), №4 საჯარო სკოლის, მესხეთის ქ.29-ში და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია)

● **კულტურის განვითარების ხელშეწყობა 3 671.8 ათასი ლარი:**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, კერძოდ:

● **ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ბორჯომის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა** (441.5 ათასი ლარი).

● **ა(ა)იპ ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება** (476.0 ათასი ლარი).

● **ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი** (1 202.4 ათასი ლარი).

● **ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები** (627.0 ათასი ლარი).

● **ახალგაზრდობის მხარდაჭერა - (290.0 ათასი ლარი).**

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ, სპორტულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების და ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე, მუნიციპალიტეტის მიზანია წარმატებული სტუდენტების მოტივაციის ამაღლების და მათი პროფესიული გაძლერების მიზნით მათი წახალისება და ხელშეწყობა. გაეროს მდგრადი განვითარების „შ" მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა 3. ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა, 5. გენდერული თანასწორობა

● **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** (285.0 ათასი ლარი).

● **საინფორმაციო მომსახურეობა** - (85.0 ათასი ლარი)

● **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (3 809.9 ათასი ლარი).**

● **ჯანმრთელობს დაცვა:** (130.2 ათასი ლარი)

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა სიტუაციის მონიტორინგი, მათი ადრეული გამოვლენა, ადექვატური რეაგირება, ეპიდაფეთქებათა მართვა, ადამიანთა და ცხოველთა საერთო საშიში ინექციური დაავადებების ინსტერსექტორული მართვა. ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიაბის და საზოგადოებაში ინფექციების გავრცელების შემცირება, დაავადების ადრეული იდენტიფიცირება. ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სტატისტიკური მუშაობის უზრუნველყოფა, მიღებული მონაცემების რეგისტრაცია-ანალიზი, სახ. სამედიცინო ჯანდაცვითი პროგრამების ეპიდზედამხედველობის უზრუნველყოფა, მათ შორის ლოჯისტიკა. ტუბერკულოზის სავარაუდო, საეჭვო შესაძლო შემთხვევათა ეპიდზედამხედველობა კონტაქტების იდენტიფიცირება, დიაგნოსტიკის ხელშეწყობა, საგანმანათლებლო მუშაობა ტუბერკულოზის შემთხვევათა შესახებ ინფორმაციის შეტანა ინფექციურ დაავადებათა მონაცემთა ერთიან ელექტრონულ სისტემაში. რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

● **სოციალური დაცვა - პროგრამის დასაფინანსებლად 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3 679.7 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადსხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, იძულებულ გადაადგილებულ პირთა სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პროგრამა მოიცავს ასევე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ქვეპროგრამას, რომლის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა, ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა, ბავშვის ოჯახის გაძლიერება მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროგრამა ხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

● **მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება** (1 125.0 ათასი ლარი).

● უფასო სასადილოს დაფინანსება 460.1 ათასი ლარი.

● **ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები** (3.6 ათასი ლარი).

● **მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება** (3.5 ათასი ლარი).

● **ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება** (220.0 ათასი ლარი).

● **სტიქის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა** (50.0 ათსი ლარი).

● **ლვაწლმოსილი ადამიანების დახმარება** (3,6 ათასი ლარი).

● **18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახებისა დახმარება** (328.8 ათასი ლარი).

● **მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა** (300.0 ათასი ლარი).

● **სოციალური დახმარებები** (799.2 ათასი ლარი).

● **ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა** (250.0 ათასი ლარი).

● **ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა** (136.6 ათასი ლარი).

● **მმართველობა - 7 258.4 ათასი ლარი, მათ შორის:**

● **საკრებულოს დაფინანსება** - (1 440.0 ათასი ლარი);

● **მუნიციპალიტეტის მერია** - (4 541.4 ათასი ლარი);

● **სარეზერვო ფონდი** (680.0 ათასი ლარი).

● **სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები** - (15.0 ათასი ლარი)

● **შესყიდვებთან (ტენდერი აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი** (15.0 ათასი ლარი).

● **სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება** (67.0 ათასი ლარი), მათ შორის ძირი (55.6 ლარი და პროცენტი - 11.4 ლარი).

● **სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტო** (500.0 ათასი ლარი).

**მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024 წლის პროექტი |
|---|---|---|
| | **სულ ჯამი** | **34 170.4** |
| 01 01 01 | საკრებულო | 1 440.0 |
| 01 01 02 | მერია | 4.541.4 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | |
| 01 02 01 | სარეზერვი ფონდი | 680.0 |
| 01 02 03 | სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები | 15.0 |
| 01 02 04 | შესყიდებთან (ტენდერი აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი | 15.0 |
| 01 02 06 | მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა | 67.0 |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **10 481.2** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის | 2 290.0 |
| 02 02 | წყლის სისტემის და საკანალიზაციო ქსელის განვითარება | 1 106.0 |
| **02 03** | **გარე განათება** | **1 208.5** |
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 1 136.0 |
| **02 05** | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **1 452.3** |
| **02 06** | **მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება** | **2 588.3** |
| **02 07** | **საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო დოკუმენტაციის შესყიდვა** | **700.0** |
| **03 00** | **დასუფთავება და კეთილმოწყობა** | **2 483.2** |
| **04 00** | **განათლება** | **3 942.6** |
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **6 195.0** |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 2 438.2 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 3 671.8 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | **3 809.9** |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 130.2 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 3 679.7 |

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

▌ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - **7 258.4** ათასი ლარი;
▌ ეკონომიკური საქმიანობა - **3 047.0** ათასი ლარი;
▌ გარემოს დაცვა - **3 796.9** ათასი ლარი;
▌ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - **6 120.5** ათასი ლარი;
▌ ჯანმრთელობის დაცვა - **130.2** ათასი ლარი
▌ დასვენება, კულტურა და რელიგია **6 195.0** ათასი ლარი
▌ განათლება - **3 942.6** ათასი ლარი;
▌ სოციალური დაცვა - **3 809.9** ათასი ლარი;

# გთავაზობთ ბიუჯეტის ძირითად მონაცემებს

## თავი II. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2022-2025 წლებისათვის, პროგრამები, ქვეპროგრამები

### მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2024 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 10.481.2 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვ | 10 481,2 | 11 916,7 | 13 104,4 | 14 591,5 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 2 290,0 | 3 341,0 | 4 170,0 | 5 320,0 |
| 02 01 02 | ფეხით სავალი ნაწ მოპირკ | 425,0 | 1 301,0 | 1 500,0 | 1 900,0 |
| 02 01 05 | საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა | 700,0 | 500,0 | 500,0 | 800,0 |
| 02 02 | წყლის სისტ განვითარება | 1 106,0 | 1 182,0 | 1 382,0 | 1 182,0 |
| 02 02 01 | წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა | 424,0 | 500,0 | 700,0 | 500,0 |
| 02 02 02 | ბორჯომის სოფლის წყალი | 682,0 | 682,0 | 682,0 | 682,0 |
| 02 03 | გარე განათება | 1 208,5 | 1 231,5 | 1 256,8 | 1 284,6 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 800,0 | 800,0 | 800,0 | 800,0 |
| 02 03 02 | ბორჯომის გარე-განათება | 408,5 | 431,5 | 456,8 | 484,6 |
| **02 04** | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 1 136,0 | 1 100,0 | 1 327,0 | 2 274,0 |
| 02 04 01 | საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია | 150,0 | 100,0 | 500,0 | 850,0 |
| 02 04 02 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა | 376,0 | 600,0 | 527,0 | 724,0 |
| 02 04 03 | საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და გაბიონების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 610,0 | 400,0 | 300,0 | 700,0 |
| 02 05 | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **1 452,3** | **2 162,2** | **2 167,6** | **1 378,9** |
| 02 05 01 | სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა, კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია | 100,0 | 150,0 | 150,0 | 150,0 |
| 02 05 02 | ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა | 850,0 | 1 500,0 | 1 500,0 | 700,0 |
| 02 05 03 | ბორჯომის გამწვანება 2012 | 363,7 | 363,7 | 363,7 | 363,7 |
| 02 05 05 | სასაფლაობის მოვლა-პატრონობა | 138,7 | 148,5 | 153,9 | 165,2 |
| 02 06 | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | 2 588,3 | 2 000,0 | 2 001,0 | 2 002,0 |
| 02 06 01 | მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება | 1 970,0 | 2 000,0 | 2 001,0 | 2 002,0 |
| 02 07 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა | 700,0 | 900,0 | 800,0 | 1 150,0 |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 01 01 | | | 495,0 |
| ქვეპროგრამის განსახორციელებელი სამსახური | | ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური | |

| პროგრამის აღწერა | |
|---|---|
| | ● ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, ქვეპროგრამის მიზანია ეტაპობრივად განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია არსებული სტანდარტების შესაბამისად. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ყვიბისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, სოფელ პატარა მიტარბში მისასვლელი გზის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ ანდეზიტში ჩიხების რეაბილიტაცია, სოფელ სადგერსა და ცემში შიდა ჩიხების რეაბილიტაცია და დაბა ბაკურიანში ქუმარიტაშვილის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია.<br>● ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ყვიბისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.<br>● ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.პატარა მიტარბში მისასვლელი გზის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.<br>● ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ანდეზიტში ჩიხების რეაბილიტაცია.<br>● ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბაზე შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.<br>● ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ცემში არსებული ჩიხების რეაბილიტაცია.<br>● ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში წაქაძის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია. |

| კოდი | | | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 01 04 | | ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება | 670,0 |

| კოდი | პროგრამის დასახელება | | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 02 | | წყლის სისტემის განვითარება | 1.106.0,0 |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 02 | | წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, რებილიტაცია და მოვლა-პატრონობა | 424.0 |
| ქვეპროგრამის განსახორციელებელი სამსახური | | ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასმელი წყლისა და ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, ქსელის გაფართოება.<br>● ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.<br>● სადგურის უბანში წყლარინების ქსელის (სისტემების) რეაბილიტაცია. | |

| ქვეპროგრამის აღწერა | ბორჯომის სოფლის წყალი | 2024 წლის დაფინანსება |
|---|---|---|
| | ა(ა)იპ-„ბორჯომის სოფლის წყალი“ | 682.0 |

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში წყალსადენის ექსპლოატაცია ხორციელდება სატავე-ნაგებობის და ქსელის რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა და გაწმენდითი სამუშაოები. ჩვენი სამასხურის მიზანია მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობისატვის მუდმივი და ხარისხიანი წყლის მიწოდება.

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 02 03 01 | | | 800.0 |

| ქვეპროგრამის აღწერა | ა(ა)იპ - ბორჯომის გარე განათება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 408.5 |
|---|---|---|

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

● არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება.
● შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, გვირაბების, სკვერების განათება და მომსახურება.
● სადღესასწაულო დეკორატიული გარე განათების უზრუნველყოფა.

| ქვეპროგრამის დასახელება | შენობის მშენებლობა, რეაბილიტაცია-დემონტაჟი | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 1,136.0 |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | პროგრამმის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: | |

● საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია და ცენტრალურ ქუჩებზე ფასადების რეაბილიტაცია.
● ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამა.
● საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და გაბიონების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია..

| პროგრამის აღწერა | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 2,483.2 |
|---|---|---|
| პროგრამის განსახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება და კეთილმოწყობა | |

ბორჯომის მინიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, მოედნების, სკვერების, ტროტუარების სავალი ნაწილების დაგვა-დასუფთავება და საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდა. ორგანიზაციებიდან, მოსახლეობიდან, დაწესებულებებიდან, მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ნარჩენების გატანა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვა და კირით შეწამვლა. ფანტანების და სკვერების მოვლა-პატრონობა. დაზიანებული ნაგვის ურნების შეკეთება. ქბორჯომში მრავალსართულიან კორპუსებში სანაგვე ბუნკერის, ასევე ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექციის და დეზინფექციის მომსახურება. ყველა სხვა საქმიანობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

● დაგვა-დასუფთავება;
● ნარჩენების გატანა;
● გადაბელვა და ხეების კირით შეღებვა;
● ადმინისტრირება და მართვა;
● უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციის მართვა და თავშესაფარში გადაყვანა;
● მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

### მუხლი 15. განათლება (04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია. ასევე დელეგირებული

უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება. განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის 3,942.6 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 3 942,6 | 4 083,6 | 4 315,6 | 4 617,5 |
| 04 01 | **სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება** | 3 734,6 | 3 983,6 | 4 215,6 | 4 517,5 |
| 04 01 02 | ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი | 3 734,6 | 3 983,6 | 4 215,6 | 4 517,5 |
| 04 02 | საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება | 108,0 | - | - | - |
| 04 03 | საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“ | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 01 02 | | | 3.734.6 |
| ქვეპროგრამის აღწერა | | ბორჯომის მუნიციპალიტეტში სულ 2-დან 6 წლამდე 900 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. ტერიტორიაზე განთავსებულ 12 საბავშვო ბაღში მომსახურებას იღებს 700 ბავშვი, აქედან 400 ბიჭია და 300 გოგო. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება "ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი"-ის მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ბაგა-ბაღებში რიცხული აღსაზრდელების სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა,კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა.ბაგა-ბაღებში და გაერთიანების ადმინისტრაციაში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობებისა და სახელფასო ანაზღაურების გაუმჯობესება. | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | საჯარო სკოლის დაფინანსება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 02 | | | 108.0 |
| პროგრამის აღწერა | | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა ბაკურიანში საჯარო სკოლის დემონტაჟთან დაკავშირებით სასწავლო პორცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით ალტერნატიული ფართით უზრუნველყოფა (ქირა). | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| 04 03 | | | 100.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ „ჩვენი ბორჯომისათვის“ | |
| პროგრამის აღწერა | | პროგრამის მიზანია ა(ა)იპ "ჩვენი ბორჯომისათვის"-თან არსებულ ბავშვთა და ახალგაზრდობის განათლებისა და განვითარების ცენტრის სუბსიდირება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: 1. ინტერესების მიხედვით კლუბური მუშაობის გაფართოება, რაც არაფორმალური განათლების ყველაზე ეფექტური და საჭირო მიმართულებაა; 2. ღონისძიებების ფარგლებში შემეცნებით-შემოქმედებითი ბანაკების, ტრენინგების, ვორქშოპების, შემოქმედებითი კონფერენციების, ოლიმპიადების, ვიქტორინების, სპორტული ღონისძიებების, კონკურსების და ლექციების ჩატარება. 2024-2027 წლებში გათვალისწინებული გვაქვს საერთაშორისო ბანაკებსა და გაცვლით პროგრამებში მოსწავლეთა ჩართვა. | |

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად,მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ .კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6,195,0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 6 195,0 | 6 474,8 6 | 776,7 | 7 027,1 |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 2 438,2 | 2 092,5 | 2 301,9 | 2 408,6 |
| 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1 636,0 | 1 640,7 | 1 648,5 | 1 654,3 |
| 05 01 01 01 | ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა | 1 162,7 | 1 167,2 1 | 174,7 | 1 180,7 |
| 05 01 01 02 | ა(ა)იპ ბორჯომი ფეხბურთი2013 | 473,3 | 473,4 | 473,8 | 473,5 |
| 05 01 02 | სპორტული ღონისძიებები | 152,2 | 151,9 | 153,4 | 154,3 |
| 05 02 03 | ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა | 650,0 | 300,0 | 500,0 | 600,0 |
| **05 02** | **კულტურის სფეროს განვითარება** | **3,671.8** | **4 297,3** | **4 389,8** | **4 533,5** |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 2 119,8 | 2 240,3 | 2 374,8 | 2 518,5 |
| 05 02 01 01 | მუსიკალური სკოლების დაფინანსება | 441,5 | 441,5 | 441,5 | 441,5 |
| 05 02 01 02 | საბიბლიოთეკო გაერთიანება | 476,0 | 513,2 | 556,1 | 599,1 |
| 05 02 01 03 | ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი | 1 202,4 | 1 285,6 | 1 377,2 | 1 477,9 |
| 05 02 02 | ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიბები | 627,0 | 767,0 | 925,0 | 925,0 |
| 05 02 03 | ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიოტორიაზე კლუბების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 350,0 | 700,0 | 500,0 | 500,0 |
| 05 02 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეყწობა | 285,0 | 285,0 | 285,0 | 285,0 |
| 05 02 06 | ახალგაზრდობის ხელშეწყობა(დახმარება) | 290,0 | 305,0 | 305,0 | 305,0 |
| 05 03 | საიფორმაციო მომსახურება | 85,0 | 85,0 | 85,0 | 85,0 |

| ქვეპროგრამის დასახელება | ი(ა)იპ ბორჯომის ფეხბურთი 2013 | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის განსახორციელებელი სამსახური | აი(ა)იპ ბორჯომის ფეხბურთი 2013 | 473.3 |

| ქვეპროგრამის აღწერა **ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების სასპორტო შენობების მოწყობა-რეაბილიტაცია** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 650.0** |
|---|---|

ქვეპროგრამა მოიცავს სპორტული დანიშნულების ობიექტების (სპორტული დარბაზების, მოედნების, სტადიონების, გარე სავარჯიშო კომპლექსების) მშენებლობას, მოწყობას, რეაბილიტაციას, ექსპლოატაციასა და მოვლა-პატრონობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.ბორჯომში ტურბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (პლატოზე) სპორტული მოედანის მოწყობა, ქ.ბორჯომში №4 საჯარო სკოლის მიმდებარედ სპორტული მოედანის რეაბილიტაცია, ქ.ბორჯომში მესხეთის ქ.№29-ის მიმდებარედ სპორტული მოედანის რეაბილიტაცია და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნების შეკეთებას.

● ქ.ბორჯომში ტურბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე (პლატოზე) სპორტული მოედანის მოწყობა. ● ქ. ბორჯომში მე-4 საჯარო სკოლის მიმდებარედ სპორტული მოედანის რეაბილიტაცია. ● ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. №29-ის მიმდებარედ სპორტული მოედანის რეაბილიტაცია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

| ქვეპროგრამის აღწერა | **კულტურის სფეროს განვითარება**<br>ი(ა)იპ ბორჯომის ფეხბურთი 2013 | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში**<br>**3,671.8** |
|---|---|---|

ბორჯომის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია;

კულტურული ტრადიციების დაცვისა და განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში მოხდება ადგილობრივი კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა. კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, შესაბამისად განხორციელდება სხვადასხვა მასშტაბისა და შინაარსის კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების გამართვისათვის მხარდაჭერა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში. სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია. კულტურულ - საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა.

კულტურის სახლებში მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით მიზნობრივი წრეების, სტუდიების, ფოლკლორული ანსამბლების ჩამოყალიბება და განვითარების ხელშეწყობა ქვეყნის და მუნიციპალიტეტის მაშტაბით გამართულ თვითშემოქმედებით ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა. კრეატიული აზროვნების დანერგვა, მოსწავლეთა მომზადება და მონაწილეობა სხვადასხვაჟანრის ფესტივალებსა და კონკურსებში. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს. ბორჯომის მუნიციპალიტეტში საბიბლიოთეკო დოკუმენტებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკების არაფორმალური განათლების ცენტრებად ჩამოყალიბება; პროექტებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზება. მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; ბიბლიოთეკებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ჩართულობის გაზრდა.

● მუსიკალური სკოლების დაფინანსება ● საბიბლიოთეკო გაერთიანება ● ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი ● ეროვნული, სახალხო, სადღესასწაულო და საგანმანათლებლო ღონისძიბები ● ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიოტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები ● რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა ● ახალგაზრდობის ხელშეწყობა(დახმარება)

| ქვეპროგრამის აღწერა | **მუსიკალური სკოლების დაფინანსება** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 441.5** |
|---|---|---|

ა(ა)იპ ბორჯომის ზ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სკოლა

ქვეპროგრამა ფარგლებში განხორციელდება სამუსიკო სკოლის სუბსიდირება, სამუსიკო სკოლაში მოსწავლეთა კონტიგენტის მიღება, გაკვეთილების ცხრილების შედგენა, მოსწავლეთა გადანაწილება პედაგოგებზე, სასწავლო წლის ხარისხიანად წარმართვა. კრეატიული აზროვნების დანერგვა, მოსწავლეთა მომზადება და მონაწილეობა სხვადასხვა ჟანრის ფესტივალებსა და კონკურსებში.

სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 350 ბავშვი. სკოლაში დასაქმებულია 43 თანამშრომელი, მათ შორის 30 პედაგოგი. მუსიკის შესახებ კომპლექსური ცოდნის მიწოდება პრაქტიკული გზით. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.

| ქვეპროგრამის აღწერა | **საბიბლიოთეკო გაერთიანება** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 476.0** |
|---|---|---|

**ი(ა)იპ ,,ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება“**

ქვეპროგრამა ფარგლებში განხორციელდება ბიბლიოთეკის სუბსიდირება, ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების ქსელი მოიცავს 23 ბიბლიოთეკას, რომლებიც მომსახურებას უწევენ, როგორც ბორჯომელ მკითხველს, ასევე ქალაქის სტუმრებს. წიგნადი ფონდი შეადგენს 245 400 ეგზემპლარს. ქსელში დასაქმებულია 49 თანამშრომელი. საბიბლიოთეკო გაერთიანების მიზანია ბიბლიოთეკებში ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; ელექტრონული კატალოგის შექმნა საბიბლიოთეკო დოკუმენტებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბიბლიოთეკების არაფორმალური განათლების ცენტრებად ჩამოყალიბების მიზნით კლუბური მუშაობის წარმართვა; შემეცნებით-შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებების გამართვა. წიგნადი ფონდის განახლება; საბიბლიოთეკო გაერთიანების ფუნქციონირება.

| ქვეპროგრამის დასახელება და აღწერა | **ბორჯომის კულტურის, ხელოვნების ცენტრი** | **2024 წლისდაფინანსება ათას ლარში 1,202.4** |
|---|---|---|

ქვეპროგრამა ფარგლებში განხორციელდება კულტურის და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირება, ამჟამად კულტურის ცენტრსა და დაქვემდებარებულ ერთეულებში დასაქმებულია 97 თანამშრომელი, მ/შ 55 ქალი ხოლო ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შეადგენს 340 ბავშვს მ/შ კ/ცენტრში 150. კ/ცენტრში ფუნქციონირებს 2 ქორეოგრაფიული სტუდია, 1 თანამედროვე ცეკვების სტუდია, ვოკალური სტუდის 1 ჯგუფი, სახალხო ანსამბლი და 2 გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი. ცენტრთან ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, ცენტრის დაქვემდებარებაში იმყოფება 10 სასოფლო კლუბი, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და წაღვერის კულტურის სახლები. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს შემდეგი შემსწავლელი წრეები: ხეზე კვეთის წრე, ტიხრულ მინანქარზე მუშაობის წრე, გობელინზე ქსოვის და ხელნაკეთი თოჯინების შემსწავლელი წრეები, ფერწერისა და გრაფიკის შემსწავლელი წრე, საესტრადო სიმღერების შემსწავლელი სტუდია, მხატვრული კითხვის შემსწავლელი წრე. ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრე. 1 სამეჯლისო ცეკვების წრე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბენეფიციართა რაოდენობაა 120 ბავშვი. წაღვერის კულტურის სახლში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული ანსამბლი, საესტრადო და ვოკალური ჯგუფები, ხალხური საკრავების შემსწავლელი ჯგუფი და ფოლკლორული ანსამბლი და საბავშვო თეატრალური წრე. წაღვერის კ/სახლის ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენს 100 ბავშვს. სასოფლო კბუბებში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული წრეები. სასოფლო კლუბების ბენეფიციართა რაოდნობა შეადგენს 30 მოსწავლეს.

| **ქვეპროგრამის აღწერა ეროვნული, სახალხო, სადღესასწაულო და საგანმანათლებლო ღონისძიებები** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 627.0** |
|---|---|

ქვეპროგრამა ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება, გამრავალფეროვნება, მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა; ბორჯომის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა, ტურისტების ნაკადის ზრდის ხელშეწყობა. აღნიშნული მისაღწევად ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი, რეგიონალური, საქართველოს და საერთაშორისო მასშტაბების სახალხო, გასართობი, სადღესასწაულო და შემეცნებითი ღონისძიებებისა, ტრენინგებისა და პროექტების უზრუნველყოფას, ზაფხულის ტურისტული სეზონის გამრავალფეროვნებას და მთელი წლის მანძილზე, ტურისტულად არააქტიულ სეზონებზე, ღონისძიებების მოწყობას. მიზნად ისახავს ტურისტებისთვის და ბორჯომელებისათვის სასიამოვნო, შემეცნებითი და/ან გასართობი გარემოს შექმნას, კულტურულ და ტურისტულ განვითარებას. ღონისძიებები გათვლილია ბორჯომში მცხოვრებ ყველა ასაკის და გემოვნების ადამიანებზე, ამიტომ გათვალისწინებული სხვადასხვა ჟანრის (კლასიკური მუსიკის, ფოლკლორის, საესტრადო, პოპულარული (მაგ, კინო-მუსიკა და სხვ.) კონცერტები, ფესტივალები, კონკურსები, პროექტები და ა. შ. ასევე ყვავილების, თაფლის, კინო-ფესტივალი და სხვა, სპორტული შეჯიბრებები, სოფლის დღეები, სახელობითი დღეები, რელიგიური და სახალხო დღესასწაულები, იუბილეების აღნიშვნა და სხვა. როგორც ღია ცის ქვეშ, ასევე დარბაზებში.

ღონისძიებები არის დატვირთული შოუ-ელემენტებით, კონცერტებით, სპექტაკლებით, წარმოდგენებით, გამოფენებით, სპორტული აქტივობებით, ხელნაკეთი და სასურსათო პროდუქტის, წიგნების და სხვ. გამოფენა-გაყიდვებით და სხვა აქტივობებით, ამისათვის ტერიტორიები მოეწყობა და მოირთვება შესაბამისად (ინსტალაციები, დეკორაციები, სათანადო ინსტრუმენტები, სცენა, სცენის განათება და გახმოვანება, ჯიხურები/დახლები, გირლიანდები, ბუშტები, ყვავილები, ფეიერვერკი და სხვა); ხდება მუსიკოსშემსრულებლების, დიჯეის, ანსამბლების, მწერლების, პოეტების, კომპოზიტორების, მხატვრების და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ერთეულების (ინდივიდებისა და ჯგუფების) მოწვევა. ღონისძიებას ახალისებენ პერსონაჟები, ანიმატორები და სხვა გმირები (შესაძლებელია ტრანსპორტირებაც - ჯგუფებისა და ტექნიკის);

დაიბეჭდება მასალა: ბანერი, აფიშა, ბილეთი, ბროშურა, მოსაწვევი, სიგელი, მომზადდება მყარი მასალის აზრა, საინფორმაციო დაფა, მომზადდება და გამოიცემა რუკა, საინფორმაციო-სარეკლამო ჟურნალი, ალბომი, სხვადასხვა სახის კრებული; სხვადასხვა სახის სარეკლამო, საიმიჯო ფოტო-მასალის, ვიდეო-რგოლისა და კლიპების გადაღება, ტელევიზიების მოწვევა, ვირტუალური, 3 ტურების და სხვა ანალოგიური მასალის მომზადება და აღნიშნულის განთავსება სახვადასხვა წყაროებზე, მათ შორის ინტერნეტ და სატელევიზიო რეკლამის / კლიპის / რეპორტაჟის / გადაცემის და პრომოუშენის სხვა სახეების უზრუნველყოფისთვის შესაბამისი

მომსახურების ხარჯების გაწევა; სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილების მართვის ორგანიზაციაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის წილობრივი თანხა, დმო-ს მიზანია, სამცხე-ჯავახეთის მხარის მიმზიდველ ტურისტული დანიშნულების ადგილად გადაქცევა, პრომოუშენი სხვადასხვა შესაძლო გზით, ტურისტული პროდუქტების და სერვისების განვითარების ხელშეწყობა და სხვ. მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის ზრდის მისაღწევად ინფო და პრეს-ტურებში ჩართულობა (ტურისტული კომპანიები და/ან სააგენტოები, მედიის წარმომადგენლები და სხვა). ასევე, მუნიციპალიტეტის მონაწილეობა სხვადასხვა ტურისტულ ღონისძიებაში ქვეყნის ფარგლებში და საზღვრებს გარეთ (ბაზრობები, გამოფენები, ტურები, ტრენინგები, შეხვედრები და სხვ.). ასევე, საინფორმაციო მასალის უზრუნველყოფა, (ადგილზე ჩამოსული სტუმრებისათვის და/ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასატანად).

- ახალი 2025 წელის ღონისძიება;
- ბაკურიანობა;
- ტურისტული სეზონის გახსნა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
- კლასიკური მუსიკის კონკურსი;
- ტურისტული დღეები ბორჯომში (კონცერტების, საღამოებისა და სპექტაკლების ორგანიზება ტურისტული სეზონის განმავლობაში);
- ბორჯომობა;
- მზე სოფელში ანათებს;
- ბორჯომის ფესტივალი;
- სხვადასხვა და/ან გაუთვალისწინებელი ღოსნისძიებები;
- ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია;
- ნაძვის ხის ანთების ცერემონიალი;
- სანახაობითი და შემეცნებითი ღონისძიებები (კონცერტი, პერფორმანსი, სპექტაკლი, ლექცია-სემინარი და ა. შ. ცალკე ან/და პროგარმით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში - ბორჯომობა, ახალი წელი და სხვა).

## მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,809,9 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 3 809,9 | 3 810,2 | 3 810,1 | 3 810,0 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 130,2 | 130,2 | 130,1 | 130,0 |
| 06 02 | **სოციალური დაცვა** | **3 679,7** | **3 680,0** | **3 680,0** | **3 680,0** |
| 06 02 01 | მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება | 1,125.0 | 1,125.0 | 1,125.0 | 1,125.0 |
| 06 02 02 | უფასო სასადილოს დაფინანსება | 460,1 | 460,4 | 460,3 | 460,4 |
| 06 02 03 | ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები | 3,6 | 3,6 | 3,6 | 3,6 |
| 06 02 04 | მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიოტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება | 3,5 | 3,5 | 3,5 | 3,5 |
| 06 02 05 | ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება | 220,0 | 220,0 | 220,0 | 220,0 |
| 06 02 07 | სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა | 50,0 | 50,0 | 50,0 | 50,0 |
| 06 02 08 | ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება | 3,6 | 3,6 | 3,6 | 3,6 |
| 06 02 09 | 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება | 328,2 | 328,2 | 328,2 | 328,2 |
| 06 02 11 | მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა | 300,0 | 300,0 | 300,0 | 300,0 |
| 06 02 12 | სოციალური დახმარებები | 799,2 | 799,2 | 799,2 | 799,2 |
| 06 02 13 | ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა | 250,0 | 250,0 | 250,0 | 250,0 |
| 02 06 14 | ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა | 136,6 | 136,6 | 136,6 | 136,6 |

**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 3,679.7**

პროგრამის აღწერა **ჯანმრთელობის დაცვა**

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2 იმუნიზაციია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 130.2**

პროგრამის აღწერა **სოციალური დაცვა დაცვა**

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის,სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობაზე გაზრდის ხელშეწყობას და სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პორგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები: ● მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება ● უფასო სასადილოს დაფინანსება ● ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები ● მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებული და საქართველოს ტერიოტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება ● ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება ● 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება ● სტიქის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფის ხარჯი ● ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება ● 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება ● მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა ● სოციალური დახმარებები ● ონკოლოგიური პაციენტების დახმარების ქვპროგრამა ● ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა

**2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 460,1**

ქვეპროგრამის აღწერა **უფასო სასადილოს დაფინანსება**

ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრებისათვის საკვებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.ბენეფიციართა იფასო კვება მოხდებაუფასო სასადილოში ყოველდღიურად დღეში ერთხელ.

| ქვეპროგრამის დასახელება | **ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 3,6** |
|---|---|---|

ქვეპროგრამის მიზანია გარდაცვლილების ოჯახებისთვის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისთვის დახმარების გაწევა და ხარჯების შემსუბუქება. ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე - 250 ლარი, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა ხარჯების ანაზღაურება თითოეულ ბენეფიციარზე - 100 ლარი.

| მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებული და საქართველოს ტერიოტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება 9 მაისსა და 26 მაისს. | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 3,5** |
|---|---|

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია 9 მაისთან დაკავშირებით დ/ს ომის ვეტერანებთან გათანაბრებული პირებისთვის 100 ლარით ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულ ვეტერანზე . ხოლო 26 მაისს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი შშმ ვეტერანებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 100 ლარის ოდენობით თითოეულ ვეტერანზე. 2023 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 28 ბენეფიციარმა

| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ჯანმრთელობის დაცისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 220,0** |
|---|---|---|

აღნიშნული დახმარება გაიცემა ერთჯერადად იმ ოჯახებზე რომლის ახალშობილი დაიბადა მიმდინარე წლის განმავლობაში. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებას მიიღებს 150-მდე ბენეფიციარი. ახალშობილის შეძენის შემთხვევაში ყველა ოჯახი მიიღებს 1000 ლარს ერთჯერადად და ახალშობილის ოჯახი 12 თვის განმავლობაში ყოველთვიურად 100 ლარს, რაც გავლენას იქონიებს ოჯახის მატერიალური ხელშეწყობაზე. ტყუპი ახალშობილის შეძენის შემთხვევაში თანხა გაიცეს ახალშობილის რაოდენობის მიხედვით.

| **ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 3,6** |
|---|---|

სოციალური დახმარების ძირითადი მიზანია ღვაწლმოსილი ადამიანების თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამით გაიცემა ყოველთვიური მატერიალური დახმარება, რაც წარმოადგენს ღვაწლმოსილი ადამიანების სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მათ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერა.

| **18 წლაამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 328,2** |
|---|---|

ქვეპროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება გაიცემა 250 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარით იმ ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტონგო ქულა 0-დან 160 000-მდე. ხოლო 200 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე დამატებით 50 ლარით დახმარება გაიცემა იმ ოჯახებზე, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. ასევე 200 ლარით ყოველთვიურად დაფინანსდებიან 18 წლამდე ასაკის ის სამშვილიანი ოჯახები, რომელთაც ერთ-ერთი შვილი ჰყავთ შშმ პირი. სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების თანადგომა, ფინანსური დახმარების გაწევა,დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება შობადობის წახალისების გზით.

| **მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 300,0** |
|---|---|

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მოსახეობის თანადგომა, ფინასური დახმარების გაწევა და სხვადასხვა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განცხადებით მომართვამდე უწყვეტად 1 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრები ან მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე რეგისტრირებული მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებენ: 1.1 ყველა მოქალაქე სტაციონარში წოლის შემდგომ დაფინანსდებიან 200 ლარით ერთჯერადად.

1.2 დიალიზზე მყოფი პაციენტები .

1.3 მედიკამენტებით შეძენისათვის კვარტალში ერთჯერადად დაფინანსდებიან მოქალაქეები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ -შშმ სტატუსი.კერძოდ: ენცეფალოპათიით, პარკინსონის დაავადებით(კანკალა რიგიდული ფორმა) და 18 წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებული პაციენტები.

1.4 დაფინანსდებიან ის ბენეფიციარები, რომლებიც იმყოფებიან მუდმივად მწოლიარე მდგომარეობაში და არ ექვემდებარებიან გადაადგილებას,

1.5 მედიკამენტებით უზრუნველყოფა განხორციელდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ საპატიო წოდების მქონე მოქალაქეებზე.1.6 კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ ბავშვების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომლის მიმართაც მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და ოჯახის შეფასების შემდგომ შემუშავებულია ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმა.

1.7 განხორციელდეს საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი იმ ბენეფიციარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს. გარდა 1.2, 1.3, და 1.5 პუნქტებისა ბენეფიციართა მედიკამენტოზური უზრუნველყოფა მოხდეს წელიწადში ერდჯერადად.

| **სოციალური დახმარება** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 700.2** |
|---|---|

სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მოსახლეობის სოციალურეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მათი მორალური და ფინანსური თანადგომა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარებების გაცემა, კერძოდ: ● ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალდაქორწინებულ წყვილებზე, ● 18 წლამდე შშმ და დედ-მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიური დახმარება და საკურორტო მომსახურეობა. ● 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებზე და კრიზისულ სიტუაციაში მყოფ ბავშვებზე ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით და მრავალშვილიან დედებზე დედის დღესთან დაკავშირებით. ● ბორჯომის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უჭირისუფლო მიცვალებულების სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება ერთჯერადად. ● ყოველთვიური ფინანსური დახმარებების გაცემა ხორციელდება: ● მარტოხელა მშობლებზე, ● 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულ მოქალაქეებზე. მრავალშვილიანი ოჯახების, ● მარტოხელა მსობლების და დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვეებზე ● კომუნალური გადასახადის წილობრივი დაფინანსებისთვის და დღის ცენტრი თებე-ს და ორგანიზაცია ხედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა კომუნალური გადასახადების დაფარვის მიზნით, ● ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2-ჯერადად მატერიალური თანხის გაცემას (ახალ წელს და აღდგომას) მრავალშვილიანი ოჯახებზე, ● დედ-მამით ობოლო ბავშვებზე, ● მარტოხელა მშობლებზე, □ 18 წლ შშმ და 18 წლის ზევით 1 ჯგ. შშმ პირებზე, ● დიდი სამამულო ომის ვეტერანებზე, საქ. ტერ. მთლიანობისთვის ომის მონაწილე ვატერანებზე და მარჩენალდაკარგულ პირებზე (სარეიტ ქულით 160 000მდე) საქ. ტერ. მთლიანობისთვის შშმ ვეტერანებზე (დევნილებიც) ავღანეთის ომის ვეტერანებზე, 9 აპრილს დაზარალებულ პირებზე და ჩერნობილის ავარიის დროს დაზარალებულ მოქალაქეებზე. ასევე, ● ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაცველი მოახლეობის კომუნალურ სუბსიდირებას ზამთრის სეზონთან დაკავშირებით.

| **კოდი** | **2024 წლის დაფინანსება ათას ლარში 250,0** |
|---|---|
| 06 02 13 | **ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა** |

ჯანმრთელობის დაცისა და სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ონკოლოგიური ფენის თანადგომა, ფინასური დახმარების გაწევა და სხვადასხვა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები და განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 1 (ერთი) წლის განმავლობაში რეგისტრირებული ონკოლოგიური ბენეფიციარების დაფინანსებას. პროგრამით ისარგებლებენ I, II და IV კლინიკური ჯგუფის ონკოლოგიური ბენეფიციარები საჭიროებების მიხედვით. კერძოდ: ა) სადიაგნოსტიკო მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსება ქიმიოთერაპიის კურსის მიმდინარეობისას; ბ) ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება; გ) ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსება საყოველთაო ან კერძო დაზღვევის შემდგომ დარჩენილ თანხაზე და საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტებით უზრუნველყოფა. მაქსიმალური გასაცემი თანხა 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი.

დაფინანსების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს ფორმა 100 გაცემული შესაბამისი ონკოლოგიური დაწესებულების მიერ(დედანი), ანგარიშ-ფაქტურა (დედანი) და კალკულაცია (დედანი) და საჭიროებისას კალკულაცია აფთიაქიდან. ხოლო III და IV კლინიკური ჯგუფის ონკოლოგიურ პაციენტებს, რაიონის ონკოლოგის ან ოჯახის ექიმის მიერ შევსებული ფორმა №100-ის (ჩანაწერი მედიკამენტების ჩამონათვალით), რეცეპტის და აფთიაქიდან წარმოდგენილი კალკულაციის(დედანი) საფუძველზე გაეწიოს დახმარება ერთჯერადად 150 ლარის ოდენობით. მოსალოდნელი შედეგი ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა

## მუხლი 28. ბიუჯეტის ამოქმედება

**1. დადგენილებით დამტკიცებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.**

**2. ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 დეკემბრის 95 დადგენილება.**

**საკრებულოს თავმჯდომარე ДАВИТ** 

# განახლებული ავტობაზა ავტობუსებისათვის

ბორჯომში, მესხეთის ქუჩაზე არსებული ავტობაზის ტერიტორიაზე მდებარე შენობისა და ტერიტორიის რეაბილიტაცია ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ავტოფარეხის რეაბილიტაციის პროექტის თანახმად, ძველი ამორტიზებული შენობების დემონტაჟი განხორციელდა, ადმინისტრაციულ შენობას კი სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მეტალის კონსტრუქციით მოეწყო ავტობუსის სადგომები. ასევე, ტერიტორიაზე განთავსდა ავტობუსების სამრეცხაო და სახელოსნო. ამასთან, მოეწყო ფერდის დამჭერი საყრდენი კედელი, დამონტაჟდა გარე განათე-



ბის სისტემა და მოწესრიგდა კანალიზაციის ქსელი.

სამუშაოები ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

განახლებული ავტობაზა 17 მუნიციპალიტეტის ავტობუსს მოემსახურება.

# სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულების ეტაპზეა



**ბორჯომში,** ახალი უბნის დასახლებაში მტკვრის სანაპიროზე დაზიანებული, დამცავი საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. ინფორმაციას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

პროექტის ფარგლებში, 142 მეტრიანი დამცავი საყრდენი კედლის რეაბილიტაცია განხორციელდება.

სამუშაოებს „საქართველოს სამშენებლო კომპანია" ასრულებს.

დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 900 000 ლარია გამოყოფილი.

შეგახსენებთ, რომ ბორჯომში უხვი ნალექის გამო, ახალი უბნის ქალაქის ცენტრთან დამაკავშირებელ გზაზე, მდინარე მტკვრის ადიდებამ ნაპირსამაგრი კედელი დააზიანა, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

---

**ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ** მზეთამზეში და წაღვერში, საავტომობილო გზის გასწვრივ საყრდენი კედლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

კედლის მოწყობის სამუშაოები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „Georgian Build" აწარმოებს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც მოსახლეობის დაცულობას და ზოგადად, უსაფრთხო გარემო პირობებს უზრუნველყოფს. მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტში არაერთი



საყრდენი კედლის მშენებლობა განხორციელდა და მომავალი წლისთვისაც იგეგმება მსგავსი მასშტაბური კედლების მშენებლობა.

# უხვი ნალექი ბაკურიანში



**ბაკურიანში** უხვი ნალექის გამო მობილიზებულია სპეცტექნიკა. ინტენსიურად იწმინდება ბაკურიანის გზები და იყრება ტექნიკური მარილი.

საჭიროების შემთხვევაში ბორჯომის მერიისა და ბაკურიანის განვითარების სააგენტოს შესაბამისი სამსახურები საგანგებო რეჟიმში იმუშავებენ.

# გიორგი ლომიძის ხსოვნას



**ვერ შევძელი დაძინება დღე, გიორგობა თენდება, დღე როცა დატოვე აქაურობა. ხუთი წელი... ტკივილი და მონატრება. გამორჩეულად გიყვარდა წმინდა გიორგი, ყოველ წელს ფეხშიშველი ადიოდი ლომისას წმინდა გიორგის მოსალოცად. ვიცი ახლაც მის გვერდით ხარ და ლოცულობ საქართველოსთვის, რომელიც ძალიან გიყვარდა. გილოცავ გიორგობას იმიერში. უყვარხარ დედას გულში.**

**დედის გულისთქმა**

# მიშიკო სულაქველიძის გახსენება



**30 ნოემბერს 60 წელი შეგისრულდებოდა. ყველაზე მეტად გიყვარდა შენი დაბადების დღე და ჩვენც ყველა განსაკუთრებულად ვემზადებოდით ამ დღისთვის. უკვე 21-ე წელია რაც უშენოდ აღვნიშნავთ შენ დაბადების დღეს. ახლა შენ გვერდით, შენი უდროოდ წასული დედმამიშვილები არიან. ჩვენ კი აქედან ვლოცულობთ შენი ლამაზი სულის უკვდავსაყოფად. დაბადების დღეს გილოცავთ იმიერ საქართველოში.**

**იხსენებს ოჯახი**



ლამარა ლურსმანაშვილი, ლეილა დავითიანი, დათო გელაშვილი, ბათო ხაჩიძე, მაია ორთოიძე, ტანია ტაბატაძე, მერი ხუციშვილი, მანანა ტაბატაძე, მაკა გელაშვილი, ოთო ტატიშვილი, გულო ქურდოვანიძე, ზვიადი მესხი, ხათუნა მიქელაძე, თეა ნიკოლაიშვილი, მადონა სამსონიძე, ნანა გოგოლაძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ მანანა ბლიაძეს, დედის **ნუნუს** გარდაცვალების გამო.

---

სვეტა, ქეთინო, მაია, დათო ხაჩიძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ მანანა ბლიაძეს დედის **ნუნუს** გარდაცავლების გამო.

---

მიხეილ შაყილაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებით სამძიმარს უცხადებს უშანგი ბეშკენაძეს მეუღლის **ლიანას** გარდაცვალების გამო.

**გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59**

**რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.**

**გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.**

მისამართი: **ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". თბილისი, თევდორე მღვდლის №57.**

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

## პოეზიის კუთხე

# კვლავ დაიბადოს!

„თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია". . .
თავიდან ვთვლით, რომ ლომებად ვიცნობთ,
უცბად კატებად გადიქცევიან.
სანამ სადავეს ხელში იღებენ,
პატრიოტებად მოაქვთ თავები,
გულით ვირწმუნეთ და მათ ხაფანგში
ისე უაზროდ, ბევრჯერ გავებით.
ხალხის ბრბო, მასა იმედს მოელის,
განსაცდელის ჟამს ფეხზე დგებიან,
წლები მიჰქრიან, იმედიც ქრება
და პრობლემები ისევ რჩებიან.
მიზანი მუდამ ერთია მხოლოდ,
რომ მოიხვეჭონ ქონება, ფული,
ბევრჯერ ვერ ვპოვეთ ის პიროვნება,
სამშობლოსათვის უძგერდეს გული.
და სურვილი მკლავს, შენი დიდების
და სიძლიერის თასი დავცალო,
იუდას ვერცხლებს ვიღა დაეძებს,
მწვანე დოლარებს არ განაცვალონ.
რომ თავისუფლად ამღერდეს ისევ
ივერთ მიწაზე მთები, ველები,
კვლავ აგუგუნდეს „მრავალჟამიერ"
გადაგიშენდეს გამყიდველები.
მაშ საქართველოვ, ისევ შესძელი,
ლომის ბოკვერი კვლავ დაიბადოს,
სამშობლოს ხვედრით, ერეკლეს ხმალი
სირცხვილისაგან არ დაიჟანგოს.
მინდა ხმამაღლა გიმღერო ჰიმნი,
მტერმა ვერ გკადროს რამე ზიანი,
შენი ტკივილი ცრემლებს რომ მიჩენს,
ეს მ ე ვ ა რ **იზო სარქისიანი.**

# ბორჯომო ხატი გიწოდე

**შენი ჩანჩქერის ჩხრიალზე,
ბორჯომო ხატი გიწოდე,
უზომოდ შეყვარებულმა
ფანდური ავახმიანე.
ბორჯომულას ცქერით ვტკბებით,
ირმები ჩანჩქერს წვდებიან,
ჩიტების ლაღი ჭიკჭიკი
ატკბობს ჩვენს კუთხეს მთებიანს.
მკურნალიცა ხარ ბორჯომო,
ამაყობს შენი მნახველი,
ბორჯომო, ბორჯომულაო
ვიმღეროთ შენი სახელი.**

**ციცინო ქელიძე.
76 წლის.**

**ამ ლექსს ქალბატონ ციცინოს ქალიშვილი ნინო ფანდურზე შესანიშნავად ასრულებს.**

# ვისაც ბედი არა წყალობს

**ვისაც ბედი არა წყალობს,
ყველაფერი წაუხდება,
სიხარულის მომლოდინეს,
გლოვის კარი დაუხვდება.
ვინც უნდ იყოს ღვთისნიერი
კარგზე კარგი, ვარდზე ვარდი,
თავის ჩრდილივით დაყვება
ჯავრზე ჯავრი, დარდზე დარდი.
უიღბლობას, უბედობას,
ვერასოდეს გაექცევა,
დაღმართზე დაგორებული
ქვა აღმართზე დაეწევა.
რაც არ უნდა კარგი თესოს,
ვერ გაიდგამს ვერსად ფესვსო,
ურჩევნია ის არ თესოს,
რაც წაახდენს მისავ ფესოს**

**გურამ ქუნცელი-ივანიძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.**

## ჭადრაკი

# წარმატებით იასპარეზეს



**ჩვენი** გაზეთის მკითხველისათვის ცნობილია, რომ ბორჯომის სპორტსკოლის და №3 საჯარო სკოლის მოსწავლე-მოჭადრაკეებმა **თეა რუსიტაშვილმა, ბარბარე, ელენე შონიებმა და გიორგი მესხმა** ოქტომბერში წარმატებით იასპარეზეს ახალციხის რესპუბლიკურ საჭადრაკო ფესტივალზე. 16 ნოემბრიდან კი სამეული: **თეა, ბარბარე და გიორგი** თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ საჭადრაკო-სარეიტინგო ასამაღლებელ ტურნირებში ჩაერთო. ბარბარე და გიორგი ერთ ტურნირში მოხვდნენ. ბოლო ტურის წინ გიორგი ლიდერთა სამეულში იყო: ნახევარი ქულით მას მხოლოდ ერთი მონაწილე უსწრებდა. ყაიმის შემთხვევაშიც კი ის მეორე საპრიზო ადგილზე რჩებოდა. გიორგიმ საფინიშო მღელვარებას ვერ გაუძლო და პარტია წააგო. ბარბარემ კი ბოლო პარტია მოიგო და გიორგის ქულებით წამოეწია (6,5 ქულა). საბოლოოდ **76 მონაწილეს შორის კოეფიციენტით გიორგი V ადგილზე გავიდა, ბარბარე კი – VIII-ზე. რასაკვირველია, ესეც წარმატებაა.**

თუმცა 21 გოგონას შორის ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა.

თეამ გაბედა და უფრო ძლიერ ტურნირში ითამაშა. ბევრი ფიქრობდა, რომ აქ ის ერთ ყაიმსაც ვერ გააკეთებდა. **თეამ კი სამი პარტია ყაიმით ითამაშა, ორი პარტია კი მოიგო. ამით კი თავისი რეიტინგი 50 ქულით გაზარდა.**

ამ ტურნირებში ბორჯომელთა მონაწილეობა ერთგვარი „მოთელვა" და „რეპუტაცია" იყო საქართველოს ჩემპიონატების წინ, რომლებიც მომავალი წლის გაზაფხულ-ზაფხულში გაიმართება.

**უშანგი ჯანგირაშვილი,
მწვრთნელი.**

## წყალს დევი დაპატრონებია, მიშველეთ!

# სამართალს ვეძებ, მაგრამ ვერ მიპოვია

**სოფელ** ქავაბისხევში მაქვს პატარა მიწის ნაკვეთი, სადაც მიდგია სახლი. წყალი მქონდა გამოყვანილი ზორეთიდან. ეს ნაკვეთი როდესაც შევიძინეთ, სოფელ ქვაბისხევს წყლის დეფიციტი ჰქონდა და ზორეთის მოსახლეობამ დაგვრთა ნება წყალი იქიდან გამოგვეყვანა, რაზედაც სოფელს დიდ მადლობას ვუხდი. ამ ზაფხულს გაზი გაყავდათ სოფელში და სამუშაოების დროს ჩემი წყლის მილები მშენებლებმა დააზიანეს. წყალს შემოდგომით ვკეტავდით, რომ არ გაყინულიყო. ამ ზაფხულს, როდესაც მუშები მუშაობდნენ, წყალი გამოშვებული არ გვქონდა, მილებში წყალი რომ არ გადიოდა, მუშებს მილი გაუქმებული გონებიათ და აღარ გაუფრთხილდნენ. ზორეთიდან ჩემს სახლამდე კილომეტრნახევარია, წყლის გაყვანაზე უარს არ მეუბნებიან, მაგრამ ჩემი მიწა, სადაც სახლი დგას, ქვაბისხევს ეკუთვნის, წყალიც მინდა აქვე ახლოდან გამოვიყვანო (სოფელს წყალი გაუკეთეს, სოფლის დახმარების ფონდიდან, მაგრამ სოფლის გამგებელი მეუბნება უარს. ამ საკითხზე ქალაქის მერიც შევაწუხე და სოფლის დეპუტატიც. ისინი უარს არ მეუბნებიან, მაგრამ მერიის რწმუნებული ამბობს უარს, თურმე წყალი რომ გამოვიყვანო, სოფელს წყალი შეუწყდება და სულ ჩემსკენ წამოვა, არადა, სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს. განა რამდენი წყალი უნდა წამოვიდეს წყლის მილებში, რომ სოფელი უწყლოდ დავტოვო, თანაც სოფელში 10-12 დღეც არ მიწევს წელიწადში ასვლა.

გთხოვთ, მიპასუხოთ, მეკუთვნის თუ არა წყალი სოფელ ქვაბისხევიდან?

ერთსაც დავამატებ და ვიტყვი, რომ მერიის რწმუნებული ერთი გაუგებელი კაცია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ზღაპარში მგონია თავი, დევები რომ იცავდნენ წყალს და ხალხს რომ არ აძლევდნენ, იმ დღეში ვარ.

**ქეთინო ჯავახიძე.**

# გიწვევთ საინფორმაციო შეხვედრაზე

**1 დეკემბერს,** 13:00 საათზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ბორჯომში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი კამპანია მიმდინარეობს. „ნარინჯისფერი კვირეულის" ორგანიზატორი ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოა.

